[illegible]

ხელშეკრულება

საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სოციალური დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

განმარტებები

1. ამ ხელშეკრულების ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „სახელმწიფო" – საქართველოს მხრიდან – საქართველო, თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან – თურქეთის რესპუბლიკა;

1.2. „კანონმდებლობა" – მე-2 მუხლში აღნიშნული კანონები და სხვა ნორმატიული აქტები;

1.3. „უფლებამოსილი ორგანო" – საქართველოს მხრიდან სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო, შესაბამისი სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები,

თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან – შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო და შესაბამისი სამინისტროები;

1.4. "პასუხისმგებელი ორგანო" – მე–2 მუხლში აღნიშნული კანონმდებლობის შესრულებისათვის პასუხისმგებელი ორგანო;

1.5. „დაზღვეული პირი" – პირი, რომელზეც მე–2 მუხლში აღნიშნული კანონმდებლობა ვრცელდება;

1.6. „დაზღვევის პერიოდი" – სადაზღვევო თანხის გადახდის პერიოდი;

1.7. „ოჯახის წევრი" – მხარეების კანონმდებლობით განსაზღვრული პირები;

1.8. „საცხოვრებელი ადგილი" – მუდმივი საცხოვრებელი ადგილი;

1.9. „დროებითი საცხოვრებელი ადგილი" – ერთ-ერთ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები პირის მეორე ქვეყანაში დროებითი საცხოვრებელი ადგილი;

1.10. „დახმარება“ – მხარეების კანონმდებლობით გათვალისწინებული პენსია და სხვა დახმარება.

2. ყველა ტერმინს, რომელიც არ არის განმარტებული ამ მუხლში, აქვს კანონმდებლობით მინიჭებული მნიშვნელობა.

მუხლი 2

ხელშეკრულების გამოყენების სფერო

1. ამ ხელშეკრულების განხორციელებისას გამოიყენება შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

ა) საქართველოს მხრიდან:

–საკანონმდებლო აქტები, რომლებიც აწესრიგებენ საქართველოს სოციალური დაცვის საკითხებს–შრომის, დასაქმების, საპენსიო უზრუნველყოფის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის და ზიანის ანაზღაურებას.

ბ) თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან:

–მუშებზე (სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მუშების ჩათვლით) დადგენილი სოციალური დაზღვევის (ავადმყოფობისას, მშობიარობისას, სამუშაოზე მიღებული ტრავმისას, პროფესიული დაავადებისას, ინვალიდობისას, მოხუცებულობისას და გარდაცვალებისას) კანონმდებლობა;

–თურქეთის რესპუბლიკის საპენსიო ფონდის შესახებ სახელმწიფო მოხელეებზე დადგენილი კანონმდებლობა, (ინვალიდობისას, მოხუცებულობისას და გარდაცვალებისას);

–მცირე ბიზნესით დაკავებულ მეწარმეებზე, ხელოსნებზე, სხვა დამოუკიდებლად მომუშავეებზე სოფლის მეურნეობის დარგში თავისი რისკით მომუშავეებზე დადგენილი კანონმდებლობა, (ინვალიდობისას, მოხუცებულობისას და გარდაცვალებისას);

–506–ე სოციალური დაზღვევის კანონის მე–20 მუხლში გათვალისწინებულ ფონდებთან დაკავშირებული კანონმდებლობა;

2. ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენებისას, მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნული კანონმდებლობის შემცვლელი დამატებების შემტანი და გამაერთიანებელი სხვა იურიდიული აქტებიც გამოიყენება.

3. ერთი მხარე თავის კანონმდებლობაში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ მეორე მხარეს აუწყებს 3 თვის განმავლობაში. თუ ეს ცვლილებები და დამატებები მისაღებია მეორე მხარისათვის აღნიშნული ცვლილებები სამი თვის განმავლობაში ხელშეკრულებაში შეიტანება.

4. სოციალური დაცვის რომელიმე ახალი ორგანოს ჩამოყალიბების შემთხვევაში მხარეებს შორის გაფორმდება ახალი დამატებითი ხელშეკრულება.

მუხლი 3

პირები რომლებზეც ვრცელდება ხელშეკრულების მოქმედება

ამ ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება ორივე ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე.

მუხლი 4

მხარეთა თანასწორობა

მე-3 მუხლში გათვალისწინებული პირები ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-ვალდებულებების განხორციელებისას სარგებლობენ თანაბარი უფლებებით.

მუხლი 5

დახმარების ექსპორტი

1. მე-3 მუხლში გათვალისწინებულ პირებს ერთი მხარის კანონმდებლობის საფუძველზე გაწეული დახმარება, ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებული დახმარებების ჩათვლით, მეორე მხარეში ცხოვრების გამო არ შეუმცირდება, არ შეუწყდება, არ გაეყინება, არ გაუუქმდება, კონფისკაციას არ დაექვემდებარება და მეორე მხარეს გადაეცემა.

2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირების მიმართ, მათი მესამე ქვეყანაში ყოფნის შემთხვევაში, გამოიყენება ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები.

თავი II

კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები

მუხლი 6

პირებზე, რომლებიც ამ ხელშეკრულების მე–7 და მე–8 მუხლებით არ არიან გათვალისწინებული, გავრცელდება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც ისინი მუშაობენ.

მუხლი 7

1. ერთი მხარის კანონმდებლობას დაქვემდებარებული, დამსაქმებლის მიერ მეორე მხარის ქვეყანაში 24 თვეზე ნაკლები დროით სამუშაოდ გაგზავნილი პირი, ჩაითვლება, რომ ამ სამუშაოებს პირველი მხარის ქვეყანაში ასრულებს და მხოლოდ გამგზავნი მხარის ქვეყნის კანონმდებლობას დაექვემდებარება. ორი მხარის უფლებამოსილი ორგანოების წინასწარ შეთანხმების შემთხვევაში ამ ვადის გაზრდა შეიძლება 60 თვემდე.

2. ერთ-ერთი ქვეყნის საზღვრებში თავისი კაპიტალით მომუშავე პირი, რომელიც თავისი ფუნქციების შესასრულებლად დროებით მეორე ხელშემკვრელ მხარეში იმყოფება, ამ ქვეყანაში ჩამოსვლიდან 24 თვის განმავლობაში პირველ ქვეყანაში მომუშავედ ჩაითვლება და პირველი ქვეყნის კანონმდებლობას დაექვემდებარება. ორი მხარის უფლებამოსილი ორგანოების წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში ამ ვადის გაზრდა შეიძლება 60 თვემდე.

3. მხარეებიდან ერთ-ერთში მდებარე საჰაერო და სახმელეთო გადაზიდვის კომპანიის ცენტრში ან სატელეკომუნიკაციო ფირმებში მომუშავე პირზე, მეორე ქვეყანაში გაგზავნის შემთხვევაში, ვრცელდება გამგზავნი მხარის კანონმდებლობა.

4. გემის ეკიპაჟზე და სხვა პერსონალზე გავრცელდება იმ მხარის კანონმდებლობა, რომელი ქვეყნის დროშის ქვეშ გემი დაცურავს.

5. ერთ-ერთი მხარის ქვეყანაში არსებულ ფილიალში ან მუდმივ წარმომადგენლობაში მომუშავე პირებზე გავრცელდება ის კანონმდებლობა, სადაც დაარსებულია ფილიალი ან მუდმივი წარმომადგენლობა.

6. ერთი მხარის სახელმწიფო ორგანოებში, ოფიციალურ წარმომადგენლობებში ან ასეთი რანგის ორგანოებში მომუშავე პირებზე გავრცელდება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან. ამ პირებმა მეორე მხარის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში ან თუ მუდმივად გადავიდნენ ამ ქვეყანაში საცხოვრებლად, სამსახურის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში შეუძლიათ მოითხოვონ ამ ქვეყნის კანონმდებლობაზე დაქვემდებარება.

მუხლი 8

დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები

1. დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებში მომუშავე და მათთან გათანაბრებულ პირებზე გავრცელდება წარმგზავნი მხარის კანონმდებლობა.

2. ერთი მხარის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებში მომუშავე პირებზე, რომელნიც არ არიან გამოგზავნილი თავისი ქვეყნიდან, ვრცელდება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც არის განლაგებული წარმომადგენლობა.

3. იმ ქვეყნის მოქალაქეებს ან იმ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ პირებს, სადაც მდებარეობს დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, მუშაობის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში შეუძლიათ მოთხოვონ ერთ-ერთი მხარის კანონმდებლობისადმი დაქვემდებარება, თუ მათზე არ გავრცელდა ამ მუხლის 1 და 2 პუნქტების მოქმედება.

მუხლი 9

გამონაკლისი

მომუშავისა და დამსაქმებლის ერთობლივი მოთხოვნის შესაბამისად, ორივე მხარის უფლებამოსილი ორგანოების, ან ამ ორგანოების მხრიდან

მითითებული უფლებამოსილი სხვა ორგანოების საერთო შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მე–6 და მე–7 მუხლების დებულებების გამოყენებაში დაიშვება გამონაკლისი შემთხვევები.

თავი III

კერძო დებულებები

ნაწილი I

დახმარებები ავადმყოფობისა და მშობიარობის დროს

მუხლი 10

დაზღვევის პერიოდების გაერთიანება

თუ მხარეებიდან ერთ–ერთის კანონმდებლობით ავადმყოფობისა და მშობიარობისათვის დახმარების მიღება გარკვეული პერიოდის დაზღვევის ან სტაჟის აუცილებელ ქონასთან არის დაკავშირებული, ერთი მხარის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დაზღვევის პერიოდების გაერთიანების გზით, მეორე მხარის კანონმდებლობის მიხედვით შესრულებულ დაზღვევის პერიოდებით, საკუთარი კანონმდებლობის მიხედვით შესრულებულ პერიოდად ჩაითვლება. ამასთან, დაზღვევის პერიოდები ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდეს.

მუხლი 11

პროტეზები, მასთან დაკავშირებული სამედიცინო და ფულადი დახმარებები

1. პროტეზები და მასთან დაკავშირეული სამედიცინო დახმარებები, გარდა .სასწრაფო შემთხვევებისა, პირს გაეწევა უფლებამოსილი ორგანოსაგან მიღებული ნებართვის საფუძველზე.

2. ფულად დახმარებას (დღიური გადასახდელი) პირს უხდის უფლებამოსილი ორგანო საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

3. ხელშემკვრელი მხარის დებულებებით დაზღვეულ პირზე გასაცემი ფულადი დახმარებები ოჯახის წევრების სულადობის მიხედვით თუ

განისაზღვრება, მეორე მხარის სახელმწიფოში მცხოვრები ოჯახის წევრებიც გაითვალისწინება.

მუხლი 12

ორსულობისა და მშობიარობისათვის დახმარებები

1. მომუშავე დაზღვეულ ქალს ორსულობისა და მშობიარობისათვის დახმარება ეძლევა მხარეების კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარებების სახით.

2. თუ დაზღვეულ ქალს, ორსულობისა და მშობიარობისათვის დახმარების მიღების უფლება აქვს ორივე ქვეყნაში, მასზე იმ ქვეყნის კანონმდებლობა გავრცელდება, სადაც დაიბადა ბავშვი.

ნაწილი II

ინვალიდობის, მოხუცებულობის და მარჩენალის
გარდაცვალების გამო პენსიები

მუხლი 13

სოციალური დაზღვევის პერიოდების გაერთიანება

1. მხარეების კანონმდებლობის მიხედვით პირის მიერ დახმარების მიღების, მისი შენარჩუნების ან ახალი უფლების მიღების საჭიროების შემთხვევაში ერთი მხარის უფლებამოსილი ორგანო მხედველობაში იღებს მეორე მხარის დაზღვევის პერიოდებს, ამასთან დაზღვევის პერიოდები ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდეს.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების გავრცელების შემთხვევაში არ შეგროვდა დახმარების გაცემისათვის საჭირო დაზღვევის პერიოდი, უფლებამოსილი ორგანო მესამე ქვეყანაში გატარებულ დაზღვევის პერიოდსაც ჩათვლის იმ შემთხვევაში, თუ მესამე ქვეყანასთან რომელიმე მხარეს დადებული აქვს ხელშეკრულება აღნიშნულის შესახებ.

3. მხარეები ერთ-ერთი კანონმდებლობის მიხედვით პირისთვის დახმარების განსაზღვრისათვის მხედველობაში მიიღებენ მეორე მხარის დაზღვევის პერიოდებს და პირველად მუშაობის დაწყების თარიღს.

მუხლი 14

12 თვეზე ნაკლები დაზღვევის პერიოდები

მხარეებიდან, ერთ–ერთის კანონმდებლობის მიხედვით გატარებული სადაზღვევო პერიოდი თუ 12 თვეზე ნაკლები იქნება, ამ შემთხვევაში იმ ქვეყნის კანონების მიხედვით, სადაც პირი მუშაობს, ამ თორმეტ თვეზე ნაკლებ პერიოდისათვის რომელიმე დახმარება (პენსია) თუ არის დაწესებული, მხოლოდ იმ დახმარებას (პენსიას) მიიღებს.

ამასთან ერთად ეს პერიოდები მეორე მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებულ იქნება დახმარების (პენსიის) უფლების მოპოვებისათვის.

მუხლი 15

დახმარებების გაანგარიშება

1. თუ ერთი მხარის კანონმდებლობის მიხედვით, მე–13 მუხლის მოქმედების არ გავრცელების შემთხვევაში იქნება მოპოვებული დახმარების მიღების უფლება, ამ მხარის უფლებამოსილი ორგანო მხოლოდ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამის სადაზღვევო პერიოდებს გაითვალისწინებს და დახმარებას დანიშნავს.

2. თუ პირველი პუნქტის თანახმად ვერ იქნა მოპოვებული დახმარების (პენსიის) მიღების უფლება, ამ ხელშეკრულების მე–13 მუხლის მიხედვით დაზღვევის პერიოდები გათვალისწინებულ იქნება და დახმარება (პენსია) ქვემოაღნიშნულის მიხედვით გაანგარიშდება:

უფლებამოსილი ორგანო მხედველობაში მიიღებს ორივე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით გასულ სრულ სადაზღვევო პერიოდს და ყოველთვიური დახმარების ოდენობა განისაზღვრება სრული სადაზღვევო

პერიოდის მხოლოდ იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად არის შესრულებული.

3. თუ მხარეების კანონმდებლობაში დახმარებების შეწყვეტასთან დაკავშირებით არსებობს ნორმები, ისინი ხელშეკრულებაშიც იქნება გათვალისწინებული.

ნაწილი III

სამსახურეობრივი ტრავმები და პროფესიული დაავადებები

მუხლი 16

დახმარებები

1. დაზღვეული პირი, რომელმაც დაზღვევის პერიოდში სამსახურეობრივი ტრავმა ან პროფესიული დაავადება მიიღო, სამედიცინო დახმარების გარდა, ამ ხელშეკრულების მე–10 მუხლში აღნიშნული დაზღვევის პერიოდის გათვალისწინებით, დახმარებით დამზღვევი მხარის კანონმდებლობის მიხედვით სარგებლობს.

2. დაზღვეულმა პირმა, რომელმაც მიიღო სამსახურეობრივი ტრავმა ან პროფესიული დაავადება, საცხოვრებლად მეორე ქვეყანაში გადასვლის შემთხვევაში ამ დახმარებებით სარგებლობას გააგრძელებს.

მუხლი 17

თუ ერთი მხარის კანონმდებლობის მიხედვით, პირის სამუშაო ტრამვის ან პროფესიული დაავადების შედეგად მისი შრომისუნარიანობის შემცირების დონის დადგენის დროს, მეორე მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული და პირის მიერ უფრო ადრე მიღებული ტრამვები მხედველობაში მიიღება, აღნიშნულ პირზე გასაცემი დახმარების დანიშვნა მოხდება მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 18

პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებული დახმარებები

პირი, რომელიც მუშაობდა პროფესიული დაავადების გამომწვევ სამსახურში ორივე ქვეყანაში, ამ დაავადების მიღების შემთხვევაში თვითონ ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები დახმარებას მიიღებენ იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც ეს პირი უკანასკნელად მუშაობდა.

მუხლი 19

პირის მიმართ, რომელიც პროფესიული დაავადების გამო დახმარებას იღებს ერთ-ერთი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, მეორე მხრის ქვეყანაში ყოფნის პერიოდში გაურთულდება დაავადება, გამოიყენება ქვემოაღნიშნული წესები:

1. თუ მეორე ხელშემკვრელ მხარეში საცხოვრებლად გადასულ მუშას არ უმუშავია პროფესიული დაავადებების დამამძიმებელ სამსახურში, დაზღვეული პირის პირველი მხარის იმ უფლებამოსილმა ორგანომ, სადაც იგი რეგისტრირებულია, უნდა გაითვალისწინოს ავადმყოფობის გართულება და საკუთარი კანონმდებლობის მიხედვით გაუწიოს სათანადო დახმარება.

2. პირს, რომელმაც მეორე ხელშემკვრელ მხარეში იგივე ან მსგავს სამსახურში მუშაობის გამო გაურთულდა დაავადება, პირველი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო, სადაც რეგისტრირებული იყო პირი, დახმარებას გაუწევს გართულებამდელი მდგომარეობის მიხედვით საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად. საცხოვრებლად გადასული ახალი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო, სადაც პირი რეგისტრირებულია, მოახდენს მუშისათვის დაავადების გართულებამდე და გართულების შემდეგ განკუთვნილი დახმარების რაოდენობის გამოანგარიშებას და გადაუხდის სხვაობას.

ნაწილი IV

ოჯახური დახმარებები

მუხლი 20

დახმარებების დანიშვნა

1. ოჯახის წევრისათვის დახმარების გადახდის უფლება მეორე მხარეს მცხოვრები ბავშვების ჩათვლითაც იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდება, სადაც ეს პირია დაზღვეული.

2. თუ ბავშვებისათვის დახმარება ორივე მხარის კანონმდებლობის მიხედვით არის მოპოვებული, იგი გაიცემა იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვები ცხოვრობენ.

ნაწილი V

უმუშევართა დახმარება

მუხლი 21

უმუშევრობის დახმარებისათვის საჭირო პირობები

უმუშევართა დახმარებები იმ ქვეყნის კანონმდებლობით გაიცემა, სადაც პირი არის დაზღვეული. დახმარების დასანიშნად მეორე მხარეში მოპოვებული დაზღვევის პერიოდებიც გათვალისწინებული იქნება.

თავი IV

სამედიცინო კონტროლი

მუხლი 22

მხარეებიდან ერთ–ერთში მცხოვრები, ან დროებით საცხოვრებლად გადასული პირის შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, ერთი მხარის კანონმდებლობით გაწეული სამედიცინო კონტროლის ხარჯების ანაზღაურების წესი ორ ქვეყანას შორის დადებული ცალკე ხელშეკრულებით განისაზღვრება.

თავი V

სხვადასხვა დებულებები

მუხლი 23

სახელმძღვანელო ხელშეკრულება

ამ ხელშეკრულების გამოყენებასთან დაკავშირებული წესები მხარეების უფლებამოსილ ორგანოს შორის დადებული ცალკე ხელშეკრულებით დგინდება.

მუხლი 24

ინფორმაციის გაცვლა და ორგანიზაციული დახმარება

1. ამ ხელშეკრულების განხორციელებაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი ორგანოები:

1.1. ამ ხელშეკრულების განხორციელებისათვის კანონმდებლობით დაშვებულ ყოველგვარ ინფორმაციას მხარეები მიაწოდებენ ერთმანეთს;

1.2. ამ ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კანონმდებლობის შესაბამისად, რაიმე დახმარების გადახდა, ან ამ დახმარების მიღებაზე უფლების დათმობისათვის მხარეები ერთმანეთს საჭირო დახმარებას უწევენ;

1.3. ამ ხელშეკრულების განხორციელებისათვის მიღებული ყოველგვარი ზომები ან ხელშეკრულების გამოყენებაზე კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს უმოკლეს დროში;

2. თუ სახელმძღვანელო ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული ხარჯები საორგანიზაციო დახმარებებზე, მაშინ მათი განხორციელება უფასოა.

3. ამ ხელშეკრულების მიხედვით ერთი მხარისაგან მეორე მხარის მიმართ რომელიმე პირის შესახებ გაგზავნილი სრული ცნობები, ინფორმაციის მიმწოდებელი მხარის ნებართვის მიღებამდე არ გამოქვეყნდება, საიდუმლოდ შეინახება და მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით გამოიყენება.

მუხლი 25

გადასახადის, საფასურის და ხარჯებისაგან გათავისუფლება ან შეღავათი

ამ ხელშეკრულებით დადგენილი ნორმების გამოყენებისათვის საჭირო ყოველგვარი ცნობა ან დოკუმენტი გათავისუფლებულია ხარჯების გადახდისაგან (გადასახადი, საფასური, საკონსულო ან მმართველობითი ხარჯები). ამ ხელშეკრულების განხორციელებისათვის მომზადებული ყველანაირი ცნობა დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობის დამოწმებისაგან ან მსგავსი ფორმალობებისაგან გათავისუფლებულია.

მუხლი 26

საინფორმაციო ენა

ამ ხელშეკრულების განხორციელებისათვის მხარეების უფლებამოსილი ორგანოები ორივე მხარის სახელმწიფო ენით სარგებლობენ.

მუხლი 27

მოთხოვნის, ინფორმაციისა და პრეტენზიების შეტყობინება

1. მხარეებიდან ერთ—ერთის კანონმდებლობის მიხედვით ერთი მხარის უფლებამოსილ ინსტანციაში ან ორგანოში კანონით დადგენილ ვადაში დახმარების გადახდის ან დახმარების უფლების დანიშვნაზე შეტანილი მოთხოვნა, ინფორმაცია ან პრეტენზია მეორე მხარის უფლებამოსილ ინსტანციაში ან ორგანოში შეტანილად ჩაითვლება. იგივე წესი სხვა საკითხებთან დაკავშირებით შეტანილ განცხადებებში და პრეტენზიებშიც გამოიყენება.

2. ერთი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად დახმარების დანიშვნაზე მოთხოვნა მეორე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად დაკავშირებულ მოთხოვნად ჩაითვლება.

3. პირველი და მეორე პუნქტების გამოყენებით წარდგენილი მოთხონვა, ინფორმაცია ან პრეტენზია ერთი მხარის უფლებამოსილ ინსტანციას ან

ორგანოს მიერ დაუყოვნებლივ გადაეცემა მეორე მხარის უფლებამოსილ ინსტანციას ან ორგანოს.

მუხლი 28

დახმარებების გადახდა

მხარეების უფლებამოსილი ორგანოები, ხელშეკრულებიდან გამომდინარე დახმარებებს გადაიხდიან იმ ფულის ერთეულით, რომელიც დადგენილია სახელმძღვანელო ხელშეკრულებაში.

მუხლი 29

უთანხმოებების მოგვარება

1. მხარეების უფლებამოსილი ორგანოები მხარეებს შორის ამ ხელშეკრულების განმარტების და გამოყენების თაობაზე წარმოშობილ უთანხმოებებს მოლაპარაკების გზით აგვარებენ.

2. 6 თვის განმავლობაში უთანხმოების მოუგვარებლობის შემთხვევაში მხარეებიდან ერთ-ერთის მოთხოვნით, საკითხს, არბიტრს გადასცემენ.

2.1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე შემთანხმებელ საბჭოში საკითხის გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში დანიშნავს არბიტრს. ამ გზით დანიშნული ორი არბიტრი, შეტყობინებიდან ორი თვის განმავლობაში მესამე ქვეყნის წარმომადგენელს დანიშნავს მესამე არბიტრად.

2.2. თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე არბიტრს არ დანიშნავს, მეორე ხელშემკვრელი მხარე ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართავს და სთხოვს არბიტრის დანიშვნას. მესამე არბიტრის შერჩევაში თუ ვერ შეთანხმდებიან, მიმართავენ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს.

2.3. თუ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს თავმჯდომარე გახდება ერთ—ერთი მხარის წარმომადგენელი, ამ მუხლით მინიჭებული

უფლებები სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ან მესამე ქვეყნის მაღალი რანგის მოსამართლეს გადაეცემა.

3. არბიტრაჟი ხმების უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებებს. არბიტრაჟის გადაწყვეტილება ორივე ქვეყნისათვის სავალდებულოა. თითოეული მხარე ანაზღაურებს თავისი წარმომადგენლების ხარჯებს. სხვა მათ მიერ თანაბრად გაიყოფა. არბიტრაჟი თავად განსაზღვრავს საკუთარ პროცედურას.

თავი VI

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 30

გარდამავალი დებულებები

1. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღამდე დამთავრებული ყველანაირი სადაზღვევო პერიოდი ხელშეკრულების მიხედვით დახმარების მოპოვებისათვის იქნება გათვალისწინებული.

2. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღამდე წინა პერიოდისათვის დახმარების გადახდის უფლება არ წარმოიშობა.

3. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ მოხუცებულობის, ინვალიდობის ან მარჩენალის დაკარგვის გამო დახმარების მიღების უფლებაზე გამოიყენება ამ მუხლის მეორე პუნქტი. მაგრამ, ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან დახმარების მიღების შესახებ წერილობითი მიმართვის შემთხვევაში დახმარება ინიშნება და სხვაობაც გაიცემა. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ორი წლის გასვლის შემდეგ დახმარება დაინიშნება მიმართვის დღიდან.

მუხლი 31

ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

1. ეს ხელშეკრულება მოქმედებს 5 წლის ვადით და ძალაში შედის აუცილებელი იურიდიული პროცედურების შესრულების საფუძველზე მხარეების წერილობითი შეტყობინების შემდეგ. თუ მხარეებიდან ერთ-ერთი, ამ

მოქმედების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე, წერილობით არ შეტყობინებს მეორე მხარეს თავის განზრახვას ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე, იგი ავტომატურად გაგრძელდება ყოველი ერთწლიანი პერიოდით.

2. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში აღნიშნული პირების მიერ მოპოვებული უფლებები ძალას არ კარგავს ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. ხელშეკრულების შეწყვეტამდე დაწყებული გადაუჭრელი საკითხის განხილვისათვის შეხვედრები გაგრძელდება და უთანხმოების შემთხვევაში იგი გადაწყდება 29–ე მუხლის შესაბამისად.

შესრულებულია 1998 წლის 11 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკაში ქ. იზმირში. ორივე ტექსტი შედგენილია ქართულ და თურქულ ენებზე ორ პირად და ყველა ტექტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს აღმასრულებელი
ხელისუფლების სახელით
ვიკტორ იაშვილი
სოციალური დაცვის, შრომისა
და დასაქმების მინისტრის
მოადგილე

თურქეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით
აჰმედ შაღარი
შრომის, დასაქმების და
სოციალური ურუნველყოფის
მინისტრის მოადგილე